

## ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველოში - საკანონმდებლო ორგანოს შეფასება

### აბსტრაქტი

წარმოდგენილ კვლევაში შესწავლილია ღია მმართველობის საბჭოს საქმიანობა მისი შექმნიდან დღემდე, 2015 წლიდან 2024 წლამდე. ამ პერიოდში საბჭომ შეიმუშავა 5 სამოქმედო გეგმა, რომელიც მრავალ ამბიციურ ვალდებულებას მოიცავს. 2020 წლამდე, სამუშაო გეგმები და პროცესები სამოქალაქო ჩართულობის მხრივ ჰარმონიულად მიმდინარეობდა, საქართველო დამსახურებულად იყო დასავლურ ქვეყნებთან შედარებით მოწინავე პოზიციებზე, როგორც ღიაობის, ისე გამჭვირვალობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კუთხით.

ექსპერტებთან ინტერვიუებმა და დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, გამოირკვა, რომ 2020 წლიდან მმართველმა ძალამ საერთაშორისო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები მტრებად გამოაცხადა, „ქართულმა ოცნებამ“ მის დადგენილ პოლიტიკურ კურსს გადაუხვია, რომელიც ღიაობაზე და გამჭვირვალობაზე გადიოდა, დაიწყო აქტიური დემონიზება და მარგინალიზება სამოქალაქო საზოგადოების წევრების, ფაქტიურად შეუძლებელი გახდა ღია საპარლამენტო საბჭოს საქმიანობაც, რადგან პარლამენტი აღარ ითვალისწინებდა მათ მოტივირებულ შენიშვნებსა თუ რეკომენდაციებს თუ რა უნდა გაწერილიყო პარლამენტის შემდეგ სამუშაო გეგმაში.

ჩატყდა ხიდები „ქართულ ოცნებას“ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. მალევე საკონსულტაციო საბჭო დატოვეს ორგანიზაციებმა, ასევე დატოვეს OGP პლატფორმა და არ-

---

\* პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი

სებობს რისკი რომ დემოკრატიული უკუსვლის გამო თვითონ პარტნიორობამ დატოვოს საქართველო. სამოქალაქო ჩართულობის არარსებობა აისახა პარლამენტის 2024 წლის სამოქმედო გეგმაზე, რომელშიც არ მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოება,

კვლევის ფარგლებში, შედარებითი ანალიზი გაკეთდა ჩრდილოეთ მაკედონიასთან, რომელიც ღია საპარლამენტო მმართველობას 2018 წელს შეუერთდა, ჩვენთვის საინტერესოა ჩრდილოეთ მაკედონიის გამოცდილება რადგან, მათ საქართველოზე 3 წლით გვიან დაიწყეს ამ პროცესებზე მუშაობა და დღეს უკვე თითქმის თანაბარ პოზიციებზე ვართ.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს პარლამენტი, ღია მმართველობა, პარლამენტარიზმი.

### შესავალი

ღია მმართველობის პარტნიორობა, 2011 წელს გაეროს ასამბლეის ფარგლებში შეიქმნა. დღესდღეობით პარტნიორობა 75 ქვეყანას მოიცავს, მათ შორის საქართველოს, რომელიც მას 2012 წელს შეუერთდა. OGP-ის მთავარი და პრიორიტეტული პოლიტიკის მიმართულებებია: კორუფციასთან ბრძოლა, თავისუფალი სამოქალაქო სივრცის შექმნა და ციფრული მმართველობის გაძლიერება. ღია მმართველობის პარტნიორობის პლატფორმის მეშვეობით, ქვეყნები აქტიურად მუშაობენ ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობის დასამყარებლად. წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან შეიმუშავონ სამოქმედო გეგმა, რომელშიც აქტიურად იქნება ჩართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ფართო დისკუსიისა და კოოპერაციის ფონზე მიიღება ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის პირნათლად შესრულების ვალდებულებასაც სახელმწიფოები აიღებენ. 2012 წლიდან დღემდე საქართველომ 5 სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომლებიც 2012-2025 წლებს მოიცავს. ყველა სამოქმედო გეგმაში საქართველოს მთავრობა იღებს ვალდებულებას, რომ გაუმჯობესდება საზოგადოებრივი ჩართულობა, საჯარო მომსახურება, საჯარო რესურსების ეფექტურად გამოყენება და მართვა.

ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს მოიცავს - როგორც მთავრობას, ისე ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და საქართველოს პარლამენტს. 2015 წელს, საქართველოს პარლამენტში, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით გამოიცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც იქმნებოდა ღია საპარლამენტო მუდმივმოქმედი საბჭო, რომლის მთავარი მიზანი და ამოცანა იყო შეემუშაებინა სამოქმედო გეგმები და ეზრუნა საპარლამენტო დემოკრატიის გაზრდაზე, პარლამენტის გამჭვირვალობასა და ღიაობაზე, ასევე ეპასუხა იმ ყველა მოთხოვნებზე, რაც OGP-ის სტანდარტებს თან ახლავს. ესენია - სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა სამუშაო პროცესებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ექსპერტების აზრის გაზიარება, სამოქალაქო შეხვედრები და მოსახლეობისთვის პროცესების გაცნობა. ამ კვლევაში სწორედ, ღია საპარლამენტო საბჭოს მიერ მიღებულ სამოქმედო გეგმებს მიმოვიხილავთ და შევეცდებით დავადგინოთ თუ რა გავლენა იქონია საპარლამენტო დემოკრატიის მშენებლობის პროცესზე და რამდენად ეფექტური იყო ღია საპარლამენტო საბჭო ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლი დასათაურებელია როგორც დემოკრატია, პირველ მუხლში ვკითხულობთ, რომ საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა, „სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.“ ასევე, კონსტიტუციაში მესამე თავი ეთმობა პარლამენტს, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“. საქართველოს ამჟამინდელი მოწყობით, საქარ-

თველოს პარლამენტი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფო ორგანოს, რომლის გამართული და გამჭვირვალე მმართველობა აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიის მშენებლობისა თუ განვითარებისთვის. ბევრი პოლიტოლოგი თუ დარგის ექსპერტი ამტკიცებს, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო ერთ-ერთი გარანტია სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობის. (Thomas Christiansen, Elena Griglio & Nicola Lupo, 2021). ამიტომაც, ამ ნაშრომში ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოს პარლამენტზე, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოზე, რომელიც ქვეყნის დემოკრატიის საწინდარია, უფრო რომ დავკონკრეტდეთ, ნაშრომში ვეცდები ერთმანეთს დავუკავშირო დია მმართველობის პარტნიორობა (შემდეგში Open Government Partnership – OGP) რა გავლენას ახდენს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოზე, მისი შექმნიდან დღემდე რამდენად უფრო ღია, გამჭვირვალე და დემოკრატიული გახდა საქართველოს პარლამენტი.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

პეიტმანის (1970) მტკიცებით არ არსებობს განსაკუთრებული პრობლემა მონაწილეობის სისტემის სტაბილურობასთან დაკავშირებით; ის თვითდამკვიდრებულია მონაწილეობის პროცესის საგანმანათლებლო ზემოქმედების გზით. მონაწილეობა ავითარებს და ზრდის თავად იმ თვისებებს, რომლებიც მას სჭირდება; რაც უფრო მეტად მონაწილეობენ ინდივიდები, მით უკეთ შეუძლიათ პროცესების მართვა. მონაწილეობის შესახებ დამხმარე ჰიპოთეზებია, რომ მას აქვს ინტეგრაციული ეფექტი და რომ ის ეხმარება კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებას.

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელია მონაწილეობის საზოგადოების არსებობა, ანუ საზოგადოება, სადაც ყველა პოლიტიკური სისტემა დემოკრატიზებულია და სოციალიზაცია, მონაწილეობის გზით ყველა სფეროში შეიძლება მოხდეს. (Pateman, 1970a)

მონაწილეობრივი დემოკრატიის თეორიის მეორე ასპექტია ის, რომ ისეთ სფეროებს, როგორცაა ინდუსტრია, უნდა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური სისტემები თავიანთი უფლებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაწილეობის შესაძლებლობას ეროვნული დონის გარდა. თუ ინდივიდებს უნდა ჰქონდეთ მაქსიმალური კონტროლი საკუთარ ცხოვრებასა და გარემოზე, მაშინ ამ სფეროების ავტორიტეტული სტრუქტურები უნდა იყოს ისე ორგანიზებული, რომ მათ მონაწილეობა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღებაში. კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ არის ინდუსტრია ცენტრალური ადგილის მქონე თეორიაში, დაკავშირებულია ეკონომიკური თანასწორობის რეალურ ზომასთან, რომელიც აუცილებელია ინდივიდის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (თანაბარ) მონაწილეობაში; ინდუსტრიული ავტორიტეტის სტრუქტურების დემოკრატიზაცია, „მენეჯერებსა“ და „მუშებს“ შორის მუდმივი განსხვავების გაუქმება ნიშნავს დიდ ნაბიჯს ამ პირობის დასაკმაყოფილებლად. (Pateman, 1970b)

მარტივი ჭეშმარიტებაა რუსოს, მილისა და კოლის არგუმენტები, რომ ჩვენ ვსწავლობთ მონაწილეობის გზით მონაწილეობის მიღებას და რომ პოლიტიკური ეფექტურობის შედეგები უფრო მეტად განვითარდება მონაწილეობის გარემოში. (Pateman, 1970e) გარდა ამისა, მტკიცებულება აჩვენებს, რომ მონაწილეობის ავტორიტეტული სტრუქტურის გამოცდილებამ შესაძლოა ასევე ეფექტურად შეამციროს ინდივიდში არადემოკრატიული დამოკიდებულების ტენდენციები.

ჰაბერმასისთვის (1984) ევროპული ყავის სახლები, სალონები და საზოგადოებრივი ტაბლები იყვნენ ინკლუზიური ლიტერატურული საჯარო სივრცეების მაგალითები, რადგან მათ ჰქონდათ თანასწორობა, კრიტიკა, ხელმისაწვდომობა, რეფლექსიურობა და შეკითხვების დასმის პრობლემატიზაცია. საჯარო სფეროს იდეალი თავს იჩენს როგორც სახელმწიფო და ეკონომიკის სისტემატიზების ეფექტიანობის წინააღმდეგ. საჯარო სფერო განლაგებულია სამოქალაქო საზოგადოებაში და არის ადგილი, სადაც ადამიანები განიხი-

ლავენ საერთო მნიშვნელობის საკითხებს როგორც თანასწორნი და სწავლობენ ფაქტებს, მოვლენებს, სხვა ადამიანების შეხედულებებს, ინტერესებს და პერსპექტივებს უთანასწორობის ატმოსფეროში. ეს მონაწილეობა ავითარებს ინდივიდუალურ ავტონომიას, არის სასწავლო პროცესი და ქმნის პოლიტიკურად მნიშვნელოვან საჯარო აზრს. (Habermas, 1984) სამოქალაქო საზოგადოება ხშირად განიხილება როგორც სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვის ადგილი. სამოქალაქო საზოგადოების ბირთვი შედგება "ასოციაციების ქსელით, რომელიც ინსტიტუციონალიზების პრობლემების მოგვარებას ახერხებს დისკურსების საერთო ინტერესის საკითხებზე ორგანიზებული საჯარო სფეროების ფარგლებში" (Habermas, 1996, გვ. 367).

ძლიერი დემოკრატიის პირობებში, მოქალაქეები იძულებულნი არიან იმოქმედონ, რადგან მათ უნდა გამოიყენონ თავიანთი პრაქტიკული, შემოქმედებითი და ნებაყოფლობითი ცოდნა ჰუმანური და საზოგადოებრივი გარემოს შესაქმნელად. ბარბერი შენიშნავს, რომ ძლიერი დემოკრატია არის მონაწილეობითი რეჟიმის ცენტრირებული პოლიტიკა, სადაც საზოგადოებრივი საუბარი იწვევს საზოგადოებრივ ხედვას და მოითხოვს საზოგადოებრივ ნებას ხელშესახები მოქმედებით. გარკვეულწილად, ბარბერის ცნება არის ძლიერი დემოკრატიული, მონაწილეობითი მოქალაქეობის სრული მასშტაბის ასიმილაცია. (Barber, 2003) შესაძლოა, ბარბერისთვის შეგიძლიათ იყოთ სხვა, ვიდრე მოქალაქე პირად ცხოვრებაში, მაგრამ მისი საზოგადოებრივობის გაგება დიდ მოთხოვნებს უყენებს იმ სუბიექტურობას, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის.

### **ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველოში**

საქართველო OGP-ის წევრი 2012 წელს გახდა, მმართველი კომიტეტის წევრი იყო 2014 წლიდან. 2013 წლის 9 ივლისს გამოიცა საქართველოს მთავრობის N775 „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის აუცილე-

ბელ ღონისძიებათა შესახებ“განკარგულება, რომელსაც იმ დროს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მოაწერა ხელი. საქართველოს მთავრობა გამოთქვამდა მზაობას და უერთდებოდა მონაწილე ქვეყნების მთავრობათა მისწრაფებს, გამხდარიყო მათი საქმიანობა მეტად გამჭვირვალე, ინოვაციური და ხელმისაწვდომი. განკარგულებაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის მხარი დაუჭიროს სამოქალაქო ჩართულობას, დაამკვიდროს პროფესიონალიზმის უმაღლესი სტანდარტი სამთავრობო ორგანოებში, ტექნოლოგიური განვითარებით წვდომის გაუმჯობესება საჯარო ორგანოების ღიაობის და ანგარიშვალდებულების გაზრდა. კონკრეტულ სამინისტროებს დაევალოთ თუ რა ღონისძიებები უნდა გაეტარებინათ. მაგალითისთვის, იუსტიციის სამინისტროს დაევალო შეედგინა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა, ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მექანიზმები, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკანონდებლო მექანიზმების გაუმჯობესებაზე წინადადებები, ასევე ფინანსთა სამინისტროს დაევალო წარმოედგინა თანამდებობის პირთა დეკლარაციების შევსების პროექტი და მათი ეფექტური მონიტორინგის პროგრამა. კონკურენციის სააგენტოს კი დაევალო წინადადებები მოემზადებინა თუ როგორ გამართულიყო ელექტრონული შესყიდვები უფრო მეტად გამჭვირვალე, გაუმჯობესებული და სისტემა ყველასთვის მარტივი და გასაგები. ამ განკარგულებით, მარტივად ამოვიკითხავთ მთავრობის სრულ მზადყოფნას რომ OGP-ის წევრ ქვეყნებთან და სამოქალაქო საზოგადებასთან ერთად ემუშავა და ესწრაფვა საერთო მიზნებისკენ. 2012 წლიდან დღემდე, საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა 5 სამოქმედო გეგმა, რომლებიც მოიცავს 2012-13, 2014-15, 2016-17, 2018-2019 და 2024-25 წლებს.

ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა გულისხმობს, ორგანიზაციის პრინციპების გათვალისწინებით, სამოქალაქო სექტორთან ერთად, კოორდინირებული მუშაობით შემუშავდეს და განისაზღვროს ვალდებულებები რომელსაც მთავრობა აიღებს სამოქმედო

გეგმის ფარგლებში. არსებობს სპეციალურად შემუშავებული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, რომელიც პარტნიორობის საერთაშორისო სამდივნოს მიერ არის მომზადებული და განსაზღვრავს მონაწილე მხარეთა როლებსა და მათ კომპეტენციებს. შემუშავების პროცესი 6 ეტაპისგან შედგება, საწყის ეტაპზე არის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის ინიციატივების შეკრება, შემდეგ მოსდევს კონსულტაცია ადგილობრივ, საჯარო და საერთაშორისო პარტნიორებთან კონსულტაციები, მესამე ეტაპზე ხდება ფორუმის მოწვევა და გეგმის პირველი ვერსიის შემუშავება, მომდევნო ეტაპზე მიმდინარეობს საჯარო კონსულტაციები ქვეყნის მასშტაბით და კონსულტაციები OGP-ის საერთაშორისო სამდივნოსთან ერთად, ბოლო ორი ეტაპი კი მოიცავს გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადებას, საბჭოების შეხვედრებს და საბოლოოდ მის დამტკიცებას. მეტი წარმომადგენლობისთვის კი 2019 წელს ღია მმართველობა საქართველოს პროცესში შევიდა ცვლილება, რომელიც გულისხმობს საბჭოს წევრების ვალდებულებას, წარუდგინონ წერილობითი დასაბუთებული უარი თუ რატომ არ გაითვალისწინეს ან ნაწილობრივ გაიზიარეს მათი რეკომენდაციები.

პირველ სამოქმედო გეგმაში ხელისუფლება ხაზს უსვამდა რომ მათი პოლიტიკური სისტემა ემყარება ღიაობას, მოქალაქეთა ჩართულობას, საჯარო მმართველობის გამჭვირვალობას და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას, აქედან გამომდინარე, მათ აიღეს ვალდებულება, რომ საჯარო მომსახურების გაუმჯობესების, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდის, საჯარო რესურსების უკეთესად მართვის და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიმართულებით გადადგამდნენ ნაბიჯებს და მკვეთრად გააუმჯობესებდნენ მათ, რადგან ხელისუფლება მათ მიიჩნევდა ძირითად გამოწვევებად. ასევე აღსანიშნავია, რომ პირველ სამოქმედო გეგმაზე მუშაობის დროს, მთავრობამ გაიარა კონსულტაციები საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, უნივერსიტეტის პერსონალთან და სტუდენტებთან, რაც ღია მმართველობის პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი მოთხ-



ოვნაა. წლების განმავლობაში, მთავრობის სამოქმედო გეგმის ძირითადი ნაწილი ეთმობოდა საჯარო სერვისების განვითარებას, ჩართულობის ინოვაციურ პლატფორმების შექმნას, მაგრამ გამონაკლისი იყო ბოლო წლები, როდესაც წლების განმავლობაში მთავრობას არ წარუდგენია OGP სამოქმედო გეგმა და ხშირად ხდებოდა კრიტიკის საგანი სამოქალაქო სექტორის მხრიდან და ბრალს სდებდნენ OGP-ის ღირებულებებიდან გადახვევაში და ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულებაში.

## **ღია საპარლამენტო მმართველობის სამოქმედო გეგმები**

### ***პირველი სამოქმედო გეგმა***

2015 წლის 12 თებერვალს, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით გამოიცა „ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP)“ ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის უზრუნველსაყოფად ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნის შესახებ“, რომლის მთავარ მიზანს და ამოცანას წარმოადგენდა საპარლამენტო გამჭვირვალობისა და სისტემური კოორდინირებულ მუშაობას, 2015 წლის 30 დეკემბერს კი ფორმალურად სახელი გადაერქვა და „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო“ დაერქვა. საბჭოში პროპორციულად გადანაწილდა უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა კვოტები, ასევე შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც სამოქალაქო სექტორისგან შედგებოდა.

2015 წლის 12 თებერვალს, გამოიცა პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა“, რომელიც მოიცავდა 2015-16 წლებს და ითვალისწინებდა 18 ვალდებულებას, რომლებიც OGP-ის ოთხი ძირითადი პრინციპის შესაბამისად იყო შემუშავებული: მოქალაქეთა ჩართულობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიები, ინოვაციები და ანგარიშვალდებულება. პირველი რაც გაიწერა სამოქმედო გეგმაში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, ეს არის კანონპროექტზე კომენტა-

რის დატოვების შესაძლებლობა რითაც გაიზიარებდა ბრაზილიისა და ფინეთის გამოცდილებებს, სადაც ეს პრაქტიკა უკვე დანერგილი იყო. ასევე გაიწერა ისეთი ვალდებულებები როგორცაა, მოქალაქეთა ჩართულობა საკანონდებლო პროცესში, პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით საკანონდებლო წინადადების ან ინიციატივის წარდგენა, ფიზიკური დასწრება პარლამენტის სესიებსა თუ კომიტეტებზე, შენობაში შესვლის წესების განმარტება პარლამენტის ვებგვერდზე, ასევე თანამდებობის პირებს პარლამენტში ექნებოდათ ვალდებულება წერილობით დაესაბუთებინათ დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ.

რაც შეეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, 2015-16 წლის სამოქმედო გეგმაში ჩაიწერა ისეთი პუნქტები, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის, საპარლამენტო ცხოვრების და დოკუმენტაციის წვდომის გამარტივება, პარლამენტის კომიტეტების წლიური ანგარიშების და დასკვნების ვებგვერდზე გამოქვეყნება, ასევე კანონის გამოქვეყნება ცვლილებებით, რათა ვიზუალურად ყველასთვის მარტივად აღქმადი იყოს თუ რა ცვლილებები განიცადა კანონმა პირველი მოსმენის შემდეგ. გაიწერა დეტალურად სია თუ რა დოკუმენტები უნდა გამოქვეყნებულიყო პარლამენტის ვებსაიტზე პროაქტიულად. ბოლოს, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ, მონახაზი შემდეგი იყო, უნდა დანერგილიყო სისტემა რომელიც, პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ დოკუმენტებს ადვილად დასამუშავებენ ფორმატში გახსნიდა.

გეგმა თავიდანვე ამბიციური და ხმამაღალი განაცხადი იყო, იქ გაწერილი გეგმები მხოლოდ პარლამენტის ღიაობას და დემოკრატიულ, გამჭვირვალე ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა, საქართველო კი OGP-ის წევრ ქვეყნებს შორის, ერთ-ერთი იყო რომელმაც ღია პარლამენტის ხედვები და პერსპექტივები დანერგა. (IDFI, 2015). აღსაღნიშნავია ასევე, რომ 18 ვალდებულებიდან რომელიც პარლამენტმა აიღო, 15 შეთავაზებული იყო არასამთავრობო სექტორის მხრიდან, რომლებიც საკონსულტაციო ჯგუფის წევრები

იყვნენ. (TI, 2016). 2017 წელს, გამოცემული რეპორტის მიხედვით, სადაც შეფასებულია სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, ვკითხულობთ რომ ვალდებულებებიდან შესრულებულია მხოლოდ 5 და არ არის შესრულებული დანარჩენი 13. ასევე აღნიშნულია, რომ შესრულების დროულობაც დაგვიანებული იყო უმეტეს ნაწილში, დროულად შესრულდა 13 და დაგვიანდა 22 პუნქტი. (TI, 2017). საერთაშორისო გამჭვირვალობის აზრით, არასასურველი შედეგი

განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა: პირველი, არ არსებობდა გაწერილი ვალდებულებების განხორციელების გრაფიკი, რამაც გააჩიანურა პროცესი ან სრულად ჩიხში შეიყვანა ის, მეორე ეს იყო ღია და გამჭვირვალე მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან ცუდი კომუნიკაცია და კოორდინაცია. იყო შემთხვევები, როდესაც პარლამენტის წევრები არ იყვნენ ინფორმირებული საბჭოში მიმდინარე პროცესზე ან არსებით შეთანხმებაზე, ამან კი თავის მხრივ გამოიწვია ვალდებულებების თავის დროზე არშესრულება. მესამე კი პოლიტიკური ნების არარსებობა სახელდება მიზეზად. თავდაპირველად პარლამენტი სამოქალაქო სექტორთან აქტიურად მუშაობდა და შეიმუშავა ის ამბიციური და თამამი სამოქმედო გეგმა, რომელიც ზემოთ არის ნახსენები, მაგრამ დროთა განმავლობაში პოლიტიკური ნების გაქრობამ თუ არარსებობამ გამოიწვია ის, რომ საპარლამენტო საქმიანობაში ხელშესახები და ძირეული ცვლილებები არ შესულა.

### **მეორე სამოქმედო გეგმა**

2017 წლის დასაწყისში, საბჭომ 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, თუმცა შემდეგ ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს რეკომენდაციით ის მხოლოდ 2017 წლის გეგმად ცალკე დამტკიცდა. მეორე სამოქმედო გეგმაში უკვე 24 ვალდებულება იყო წარმოდგენილი, აქედან უმეტესი წინა სამოქმედო გეგმიდან გადმოვიდა რომლებიც არ შესრულდა. 2015 წლის სამოქმედო გეგმისგან დიდად არ განსხვავდებოდა, მცირედი გამოწვევების გარდა, ჩაემატა ისეთი ვალდებულებები როგორებიცაა, კონსტიტუ-

ციის გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, OGP-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება, საპარლამენტო სესიებისა და კომიტეტების მოსმენების თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსება, მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაციის გამოქვეყნება პარლამენტის ვებ-გვერდზე, კომიტეტების მიერ წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება და გასაჯაროება და მთავრობის მიერ ღია მმართველობა საქართველოს პარტნიორობის საქმიანობის ზედამხედველობა და მონიტორინგი. (პარლამენტი, 2017). გეგმა ისევ ამბიციური იყო, ჯერი ისევ პარლამენტარებზე იყო, რადგან სამოქალაქო სექტორი ისევ აქტიურად იყო ჩართული პროცესში, რადგან წარმოდგენილი 24 ვალდებულებიდან, 5 ინიციატივა პარლამენტმა წარმოადგინა, 19 კი საკონსულტაციო ჯგუფში შემავალმა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

საბოლოოდ, წლის შეჯამებისას, პარლამენტმა სამოქმედო გეგმის 13 ვალდებულება შეასრულა, 11 კი ნაწილობრივ, რაც წინა წლის შედეგის 100% გაუმჯობესებას მოასწავებდა. ნაწილობრივ შემუშავებაში იგულისხმება, რომ პროექტი შემუშავებულია და ინიცირებულია ან ინფრასტრუქტურა ტექნოლოგიურად მომზადებულია და კალენდარულ წელიწადში ვერ მოხერხდა მათი ამოქმედება. საბოლოოდ, 2018 წლის დასაწყისში, 24 ვალდებულებიდან 23 სრულად შესრულდა, 1 ვალდებულება კი ნაწილობრივ. რა შეიცვალა წინა წლისგან განსხვავებით? პირველ რიგში, მეტი ეფექტურობისთვის შეიქმნა 5 სამუშაო ჯგუფი, რომლებსაც კონკრეტული მიზნები და ამოცანები ჰქონდათ, გაიზარდა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების რაოდენობა, მათ შორის გასვლითი ვორკშოპები და რეგიონებში ვიზიტები, კონკრეტულად 29 რეგიონში გაიმართა შეხვედრა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინა წლისგან განსხვავებით, რომელიც ქართული პარლამენტისთვის ახალ წამოწყებას გულისხმობდა, წინა წლის შეცდომები გაზიარებული და შესწავლილი იყო, შემდეგში კი მივიღეთ 2017 წლის ანგარიში, რომელიც თითქმის სრულად განხორციელდა, ამ პოზიტივის ფონზე, მთავარ როლს მაინც

პოლიტიკური ნება ასრულებს, საპარლამენტო მმართველ ელიტაში გაჩენილმა სურვილმა რომ აღესრულებინათ, ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა მიგვიყვანა ამ დასკვნის შედეგამდე.

### **მესამე სამოქმედო გეგმა**

საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს გადადგა პირველი ნაბიჯები მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში, რაც მთლიანად აისახა მეოთხე სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2019-2020 წლებს მოიცავდა, გეგმაში დაისახა 5 ამოცანა და ამოცანებიდან გამომავალი პუნქტები, ეს ხუთი ამოცანა გახლდათ: ა) საქართველოს პარლამენტის პოლიტიკისა და კანონშემოქმედებითი პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში SDG განვითარებას, ბ) პარლამენტმა ეფექტიანი ზედამხედველობა უნდა გაუწიოს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას მთავრობის მიერ, გ) საბიუჯეტო პროცესმა უნდა ასახოს SDG მიზნების განხორციელების საჭიროებას, დ) SDG მიზნების შესრულების დროს, საპარლამენტო საქმიანობა არის ღია და ხელმისაწვდომი მოქალაქეებისთვის. ე) სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება.

საქართველოს პარლამენტისთვის სტრატეგიულ მიმართულებას 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმაში წარმოადგენდა საბიუჯეტო პროცესი, ზედამხედველობა, მოქალაქეთა ჩართულობა და კანონშემოქმედებითობა. გეგმა, როგორც წინა წლების, ამბიციური იყო, თავიდანვე ასახული იყო დოკუმენტში შემდეგი „სტრატეგიით განსაზღვრული მიზნისა და ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის აპარატისა და ყველა კომიტეტის მონაწილეობით, ასევე სხვადასხვა მხარის ჩართულობითა და მათთან თანამშრომლობით. ესენია: აღმასრულებელი ხელისუფლება, დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტები (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური), სამოქალაქო საზოგადოება, აკადემიური წრეები და კერძო სექტორი.“ (პარლამენტი, 2021). გეგმა სამწუხაროდ, მისი ამბიცი-

ურობისა და ყველა მხარის ჩართულობის მიუხედავად, ჩავარდა რადგან მისი უმეტესი წილი ვერ შესრულდა, ზოგი შესრულდა ან ნაწილობრივ, დოკუმენტში ასახულია 2019 წლის ივნისიდან 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდში შესრულებული ვალდებულებები, მაგრამ აქ ერთი მთავარი ფაქტორია, რომ 2020 წელს მსოფლიო პანდემია გამოცხადდა, რამაც მეტწილად გამოიწვია ნაკისრი ვალდებულებების ვერ შესრულება.

### **მეოთხე სამოქმედო გეგმა**

ღია პარლამენტის მეოთხე სამოქმედო გეგმა 2021-22 წლებს მოიცავდა, საკონსულტაციო ჯგუფი გაფართოვდა და აერთიანებდა 15 ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციას, ასევე სახალხო დამცველის ოფისს. ანგარიში მოიცავს 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის 20 იანვრის ჩათვლით პერიოდს.

მეოთხე გეგმაში, ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა სამოქალაქო ჩართულობა, საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება, პარლამენტის როლის გაზრდა საგანგებო მდგომარეობის დროს და სახელმწიფო ვალის მართვის მონიტორინგი. პარლამენტის იმდროინდელმა თავმჯდომარემ კახაბერ კუჭავამ სრული მზადყოფნა გამოთქვა ამბიციური სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე, „ერთი მხრივ, პარლამენტი და, მეორე მხრივ, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც ღია მმართველობის ერთიანი ოჯახი, კვლავაც არ დაიშურებენ ძალისხმევას საკანონმდებლო ორგანოს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მოქალაქეთა ჩართულობისა და ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით განვითარებისათვის“. (პარლამენტი, 2022)

მეოთხე სამოქმედო გეგმა, 19 ვალდებულებისაგან შედგებოდა და საკონსულტაციო ჯგუფის აქტიური ჩართულობით ჩამოყალიბდა. ვალდებულებები თავის მხრივ დაიყო შვიდ მიმართულებად: ა)SDG ვალდებულებების ხელშეწყობა და მონიტორინგი, ბ)პარლამენტის ზედამხედველობის გაუმჯობესება, გ) ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დ) მოქალაქეთა ჩართულობა, ე)პარ-

ლამენტის გამჭვირვალობის გაზრდა, ვ) საპარლამენტო დიალობის გაუმჯობესება, ზ) საკანონდმებლო პროცესის ხელშეწყობა და გაუმჯობესება.

საკონსულტაციო ჯგუფის პირველი ანგარიშის მიხედვით, ჩატარდა 4 სხდომა, შეიქმნა 19 სამუშაო ჯგუფი და 19 ვალდებულებიდან სრულად შესრულდა 3, დანარჩენ 16-ზე კი მიმდინარეობს მუშაობა. სამოქალაქო სექტორის განმარტებით, გეგმის შედგენისას საბჭო არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციების მეტწილად ითვალისწინებს, მაგრამ გამოწვევად რჩება გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების დროზე ადრე შესრულება. 16 ვალდებულებას, რომლებიც არ შესრულდა, უკვე გაუვიდათ შესრულების ვადა. არ შესრულდა ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები როგორებიც არის, საგანგებო მდგომარეობის დროს პარლამენტის როლის გაზრდა, დისტანციურ რეჟიმში პარლამენტის საქმიანობის წარმართვა და ზედამხედველობა. ასევე არ განხორციელდა ცვლილებები პარლამენტისა და კომიტეტების ანგარიშების სტრუქტურის დახვეწა და საპარლამენტო კონტროლის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე ცვლილებების არ განხორციელება. (საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2022). რეკომენდაციების სახით კი გაცემულია შემდეგი: საბჭომ გაამარტივოს პარლამენტის შენობაში ვიზიტორთა გამარტივებული ვიზიტი, საბჭოს სამოქმედო გეგმა იყოს მეტად ამბიციური და გაითვალისწინოს ღია მმართველობის პარტნიორობის რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმა განსაზღვრულ ვადებში შესრულდეს, მეტად ეფექტური გახდეს სამუშაო ჯგუფების საქმიანობა, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შესახებ ახალი მოდულის შექმნა, პარლამენტის ახალი ვებგვერდის კიდევ უფრო დახვეწა და ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობა. (საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2022).

მეოთხე სამოქმედო გეგმის შეჯამების სახით, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ 2023 წელს გამოაქვეყნა საბჭოს საქმიანობის შეფასება, რომელიც მოგვცემს საშუალებას შევადაროთ

შუალედურ ანგარიშს და გამოვიტანოთ დასკვნები მის ეფექტურობასთან დაკავშირებით.

2021-2022 წლის სამოქმედო გეგმიდან, პარლამენტმა აიღო 19 ვალდებულება, აქედან არსებითად ან სრულად შესრულდა 10 ვალდებულება, როდესაც შუალედურ დასკვნაში მხოლოდ 3 იყო შესრულებული და დანარჩენი 16 პროცეში იყო. შეზღუდულად შესრულდა 6 და საერთოდ არ შესრულდა 3 ვალდებულება. (TI, 2023)

წლების განმავლობაში, მთავარი გამოწვევა რაც დაფიქსირდა და, პარლამენტის ღიაობისა და გამჭვირვალობის გაუარესება, რაც დაფიქსირებული იყო საკონსულტაციო საბჭოს მიერ, მაგრამ პარლამენტს მასზე რეაგირება არ ჰქონია. სხვა წლებისგან განსხვავებით, 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმით ნაკრისრი ვალდებულებები სრულად და დროულად არ შესრულდა, ასევე პარლამენტარები ხშირად არ ესწრებოდნენ საბჭოს სხდომებს, რაც გვამღევეს იმის ფიქრის საშუალებას რომ პარლამენტმა ხელი აიღო ღია მმართველობის კუთხით მიმდინარე პროცესებზე.

რეკომენდაციების სახით, არასამთავრობო სექტორი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში მკვეთრად გაუარესდა ღიაობა და გამჭვირვალობა და მოუწოდებდა პარლამენტს დაბრუნებულიყვნენ იმ სულისკვეთებაში, რომელიც წლების წინ ხდებოდა. 2015 წლიდან საქართველოს პარლამენტი იყო ერთ-ერთი ლიდერი OGP-ში და უკუსვლა უკვე ხელშესახები და ცხადი გახდა ბოლო წლებში. სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობით და ხშირ შემთხვევაში მათი ინიციატიით გატარდა ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები. მე-10 მოწვევის პარლამენტთან კი თანამშრომლობა რადიკალურად გართულდა. მაგალითისთვის, 2022 წელს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც ჰქონდათ პარლამენტის შენობაში გამოყოფილი სამუშაო სივრცეები, მათი დატოვება მოსთხოვეს. (TI, 2023) ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაუუქმეს საშვები და გართულდა პარლამენტში შესვლის პროცედურაც, რაც თავის მხრივ აბრკოლებდა სამოქალაქო ორგანიზაციების სამუშაო-



ოებს პარლამენტის სახედამხედველო პროცესების განსახორციელებლად.

### **მეხუთე სამოქმედო გეგმა**

2023-24 წლების, რიგით მეხუთე სამოქმედო გეგმა პარლამენტმა 2023 წლის 7 ივნისს გამართულ სხდომაზე მიიღო, პარლამენტის ბიურომ კი 11 ივლისს დაამტკიცა. სამოქმედო გეგმა სამი ვალდებულებისაგან შედგებოდა, რომელიც დაგვიანებით დამტკიცდა. სამოქმედო გეგმის სამი ვალდებულება წარმოადგენდა: ა. პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების, როგორც ზედამხედველობის ინსტრუმენტის, მონიტორინგის სისტემის დანერგვა და განხორციელება, ბ. საკანონდმებლო და სახედამხედველო საქმიანობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, გ. საკანონდმებლო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმის კიდევ უფრო დახვეწა. წინა წლებთან შედარებით, შეგვიძლია ვთქვათ რომ ეს სამოქმედო გეგმა ძალზედ მოკლე და არაფრისმომცველია, მხოლოდ სხვადასხვა საკითხების ანალიზს და პრაქტიკების შესწავლას უკავშირდება.

წინა წლებში, ჩვენ ვხედავდით ამბიციურ გეგმებს, მათზე მუშაობას და მათ აღსრულებას მაგრამ ამ გეგმაში ყველაფერი რადიკალურად არის შეცვლილი. პარლამენტი თითქმის არანაირ ახალ ვალდებულებას არ იღებდა, წინა გეგმებში როდესაც ვხვდებოდით 25 ვალდებულებას ეხლა მხოლოდ და მხოლოდ 3 არის. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკონსულტაციო საბჭომ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებით არის დაკომპლექტებული, 21 ინიციატივა წარადგინა, აქედან კი მხოლოდ და მხოლოდ 1 გაითვალისწინა პარლამენტმა, რაც თავის მხრივ OGP-ის მთავარი ღირებულების, კერძოდ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დარღვევას გულისხმობს. მათი იდეების დაბლოკვა და დღის წესრიგში არ შეტანა მხოლოდ და მხოლოდ უკან დახეული ნაბიჯია წინა წლებთან შედარებით. სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მოუწოდებდა პარლამენტს, რომ საბჭოს საქმიანობა უნდა

იყოს მეტად ორიენტირებული ამბიციურ აქტივობებზე და რეფორმებზე, როგორც ეს წინა სამოქმედო გეგმებში იყო.

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მხოლოდ და მხოლოდ 1 შეხვედრა ჩაატარა საბჭომ, სექტემბრის თვეში. საუბარი შეეხებებოდა მხოლოდ სტატისტიკურ ანალიზს საკანონმდებლო წინადადებების მიმართვის შესახებ და ასევე საზოგადოებრივ მაუწყებელზე ახალი საპარლამენტო არხის შექმნის შესახებ, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ პირდაპირ ეთერში უყურონ საპარლამენტო სესიებს, კომიტეტებს თუ ბიუროს სხდომებს. (პარლამენტი, 2023). ამ ინფორმაციის გარდა, არაფერი მოიპოვება თუ რა ნაბიჯები გადადგა საბჭომ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ან რაიმე პრეს რელიზი არ გამოუქვეყნებია.

2024 წლის 3 აპრილს, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ, ბრიფინგი გამართა სადაც „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის ხელახლა ინიცირება გამოაცხადა. (Civil, 2024a). კანონპროექტი თავის დროზე, 2023 წელს დაინიცირდა, რასაც მასობრივი აქციები და პროტესტი მოჰყვა, რის გამოც მმართველმა გუნდმა კანონი უკან გაიწვია და პირობა დადო რომ მას უკან აღარ დააბრუნებდნენ. (RFL, 2023) კანონპროექტის უკან დაბრუნებას, დიდი საერთაშორისო გამოხმაურებაც მოჰყვა, საქართველოს მთავარი პარტნიორები, აშშ, ევროკავშირი და ნატო მმართველ ძალას მოუწოდებენ ეს კანონი უკან წაეღო, რადგან ის ეწინააღმდეგება დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებას. ასევე ითქვა, რომ ამ კანონის მიღებით საქართველოს გზა ევრო-ატლანტიკური გზისკენ სწრაფვას შეაფერხებდა. (Civil, 2024b) თავის მხრივ, საქართველოს კონსტიტუციაში არსებობს გარდამავალი მუხლი, რომელიც ავალდებულებს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტს, რომ ყველაფერი გააკეთონ ევრო-ატლანტიკური ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად შესასრულებელი ვალდებულებები და პირობები. (საკანონმდებლო მაცნე, 2024) გამონაკლისი არც ღია მმართველობის პარტნიორობა იყო, რომელმაც გამოაქვეყნა პრესრელიზი, 30 დღიანი ვადა ეძლეოდა მთავრო-

ბას პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც ხელახლა ინიცირებულ კანონს ეხებოდა. OGP-ის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ კანონი „დისკრიმინაციულია, ახდენს სტიგმატიზაციას და ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების, მედიის და მოწყვლადი ჯგუფების გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებას“. OGP მთავრობას 6 ივნისამდე ვადას აძლევდა, რათა წარედგინა კონკრეტული გეგმა, თუ როგორ გადაჭრიდა გამოვლენილ პრობლემებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას შესაძლოა OGP-ში საქართველოს წევრობის შეჩერება მოყვეს, OGP-ის ღირებულებებისა და პრინციპების უგულებელყოფა შესაძლოა პარტნიორობის წევრობის შეწყვეტით დასრულდეს“. (OGP, 2024) OGP-ის რელიზში ასევე ვკითხულობთ, რომ კანონი უარყოფითად იმოქმედებს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებზე და მათი საქმიანობის თავისუფლებაზე (Civil, 2024c). კანონპროექტის პირველად ინიცირებიდან მალევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეაჩერეს წევრობა საკონსულტაციო ჯგუფში, რადგან ისინი ამ კანონიდან გამომდინარე ვეღარ ხედავდნენ ვერანაირ პერსპექტივად პარლამენტთან ერთად მუშაობაში. (IDFI, 2023)

საკონსულტაციო საბჭოს წევრთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ 2016 წლიდან, უკვე როდესაც ქართული ოცნება ფლობდა საპარლამენტო უმრავლესობას, პარტიამ დაიწყო „მოჩვენებითი“ კარგი ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ემახდნენ შეხვედრებზე და ინტერესდებოდნენ მათი მოსაზრებებით. საბჭოს საქმიანობაშიც აქტიურად ებმებოდნენ, მაგრამ ისევ დარწმუნების ფონზე უწევდათ მუშაობა, სიახლეებისადმი მიუღებლობა ჰქონდათ და ბლოკავდნენ იდეებსა თუ ინიციატივებს, შემდეგ კი როდესაც ესა თუ ის ინიციატივა გეგმაში ისახებოდა და შემდეგ სრულდებოდა, ისინი იწერდნენ პოლიტიკურ ქულებს და ამბობდნენ, რომ მათ დროს შემუშავდა, მათივე ძალისხმევით აღნიშნული დადებითი და პოზიტიური ცვლილებები საქართველოს საპარლამენტო ცხოვრებაში. 2020 წლიდან კი ეს არსებული ურთიერთობები გაფუჭდა და 2023 წელს მინიმუმზე და-

ვიდა როდესაც კანონი მიიღეს, რომელიც არასამთავრობოების დისკრედიტაციას ემსახურება. საკონსულტაციო საბჭოს წევრი ვარაუდობს, რომ მმართველი პარტია ვედარ იტანს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ლეგიტიმურ და დამსახურებულ კრიტიკას, მთავრობამ ეს არ იკმარა და ურთიერთობები გააფუჭა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან და თითქმის ყველა პროექტი უკვე გაჩერებულია. საკონსულტაციო ჯგუფი კი ყველა არასამთავრობომ უკვე დატოვა, ასევე თვითონ OGP-ი დატოვა ორგანიზაციების ნაწილმა რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის საქართველოში პარტნიორობის ოპერირებას და არსებობას. სხვა ექსპერტებთან საუბრისას ნათლად გამოჩნდა, რომ დღევანდელი საკონსტიტუციო მოწყობით, სადაც პარლამენტს აქვს ცენტრალური და გამოკვეთილი როლი, აუცილებელი და კრიტიკულად მნიშვნელოვანია მისი გამჭვირვალობა, ღიაობა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება. ამიტომ, OGP-ი სწორედ რომ წარმოადგენს იმ მექანიზმს და პლატფორმას, რომელიც დაეხმარება პარლამენტს მიადწიოს ამ ყველა ნიშნულს და გახადოს მისი საქმიანობა ღია, დემოკრატიული, ყველასთვის ხელმისაწვდომი და ანგარიშვალდებულებული საზოგადოებისადმი. ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა არსებულ პროცესებში, რაც კიდევ უფრო ზრდის პარლამენტის დემოკრატიულობას და ხალხის ხმა გაგონილი და აღქმული იქნება საკანონდმებლო ორგანოში. ასევე, აუცილებელია პირდაპირი მონაწილეობა და ჩართულობა საზოგადოების და მათი ყოველდღიური ინფორმირებულობა და საპარლამენტო საქმიანობის გაცნობა .

ექსპერტებთან ინტერვიუებში, ასევე ვაწყდებით შემდეგ დასკვნას, რომ მმართველმა ძალამ 2020 წლიდან დაძაბა ურთიერთობა და თანამშრომლობა როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამის მიზეზად ასახელებენ, ლეგიტიმური და დამსახურებული კრიტიკის ვერ მიღებას, ამიტომაც მმართველმა ძალამ არასამთავრობო სექტორი გამოაცხადა აგენტებად და 2024 წელს ხელახლა

დაინიცირეს კანონი რომელიც ზღუდავს მათ მუშაობას და ფუნქციონირებას, ასევე ლახავს მათ სახელს და შეუძლებელს ხდის მმართველ ძალასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მუშაობის შესაძლებლობას.

### **ჩრდილოეთ მაკედონია და ღია საპარლამენტო მმართველობა**

ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკამ ღია მმართველობის პროცესებში მიღწეული შედეგებისთვის გლობალური აღიარება დაიმსახურა. 2011 წლიდან, როდესაც ქვეყანა შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივას, ჩრდილოეთ მაკედონია აქტიურად ატარებს რეფორმებს მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისთვის, მაღალი ინტეგრაციის სტანდარტების შემოღებისა და ყველა მოქალაქისთვის ტექნოლოგიაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით. ყოველი სამოქმედო გეგმა იწყება შემდეგი შესავლით: ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის მთავრობა, შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ ნებაყოფლობით ინიციატივას, დაადასტურა თავისი ვალდებულება მუდმივად გააუმჯობესოს თავისი მუშაობა, რათა იყოს, ღია, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სამთავრობო ინსტიტუტების საფუძველზე, რომლებიც კომუნიკაციას და თანამშრომლობას ეწევიან სამოქალაქო საზოგადოებასთან. მთავრობის პროგრამებში მაღალი პრიორიტეტი ენიჭება გამჭვირვალე სამთავრობო საქმიანობას, ასევე სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართვას. სამოქალაქო სექტორს გააჩნია უზარმაზარი შემოქმედებითი ენერჯია, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნას უფრო აქტიურად საჯარო სექტორში, ინკლუზიის კულტურის გაუმჯობესებითა და მოქალაქეთა უფლებების პატივისცემით პოლიტიკის შექმნისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, კანონების მიღებასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ღია მმართველობის პარტნიორობა ძლიერ გავლენას ახდენს ინოვაციებზე, განვითარებაზე და კონკურენტუნარიანობაზე. (NAP4, 2018)

სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის, ჩრდილოეთ მაკედონიამ საკმაოდ საინტერესო მეთოდს მიაგნო, 2018 წლის თებერვალში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მიიწვიეს, შეეცნოთ კითხვარი ახალი ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2018-2020 წლების (NAP 4) შედგენისთვის საჭირო მოთხოვნების შეფასებაზე. კითხვარის მიზანი იყო ახალი ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2018-2020 წლების მოსამზადებლად საჭირო მოთხოვნების განსაზღვრა, კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცოდნის გამოკვლევა გლობალური ინიციატივის ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ, ახალი OGP 2018-2020 წლის მომზადების პროცესში მონაწილეობის ინტერესის განსაზღვრა, კონსულტაციის პროცესისთვის საწყისი რეკომენდაციების შეგროვება, ასევე ისეთი ღონისძიებების წინადადებები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება შევიდეს სამოქმედო გეგმაში. (NAP4, 2018)

ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2018-2020 წლის პირველი პროექტი შემუშავდა ფართო კონსულტაციის პროცესის მეშვეობით, რომელიც მოიცავდა დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმის რეკომენდაციებს, დაინტერესებული მხარეების შემოქმედებით წინადადებებს და 331 წარმომადგენლის პირდაპირ ჩართულობას სამთავრობო და სამოქალაქო სექტორიდან. (NAP4, 2018) ეს პროექტი განსაზღვრავდა პირველ ვალდებულებებს შვიდ პრიორიტეტულ სფეროში: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინტეგრაცია და კარგი მმართველობა, ფისკალური გამჭვირვალობა, ღია მონაცემები, გამჭვირვალობა ადგილობრივ დონეზე, სამართლის ხელმისაწვდომობა და კლიმატის ცვლილებები.

## დასკვნა

კვლევაში შესწავლილია ღია მმართველობის საბჭოს საქმიანობა მისი შექმნიდან დღემდე, 2015 წლიდან 2024 წლამდე. ამ პერიოდში საბჭომ შეიმუშავა 5 სამოქმედო გეგმა, რომელიც მრავალ ამბიციურ გეგმას და ვალდებულებას მოიცავს. ასევე მოყვანილია ჩრდილოეთ მაკედონიის მაგალითი, რომელიც 2018 წლიდან შეუერთდა ღია საპარლამენტო მმართველობას და მოწინავე რიგებს იკავებს, განვითარების დონით, საქართველო და ჩრდილოეთ მაკედონია თანაბარ პოზიციებს იკავებს, ასევე ორივე ქვეყანა ევროკავშირის კანდიდატი წევრი სახელმწიფოა და კვლევისთვის საინტერესო აღმოჩნდა ამ ორი ქვეყნის ღია საპარლამენტო მმართველობის შედარება და ანალიზი.

2015 წელს, საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა პირველი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა ამბიციურ და პოზიტიურ რეფორმებს, გათვალისწინებული იყო OGP-ის ყველა რეკომენდაცია, ასევე სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული პროცესებში, რაც აისახა საბოლოო დოკუმენტში, რადგან მეტი წილი სწორედ რომ სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ იყო შეთავაზებული და შემუშავებული. საანგარიშო წლის ბოლოს, პარლამენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან უმეტესი წილი არ შესრულდა, ამის მიზეზად ექსპერტებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, პოლიტიკური ნების არ არსებობა, კონკრეტულად, იმ პერიოდში პარლამენტში უმრავლესობაში იყო კოალიციური მმართველობა, არსებობდა რიგი დაპირისპირებები პარტიას შორის, ამიტომაც ერთსულოვნების ნაკლებობამაც გამოიწვია ის რომ, პირველი სამოქმედო გეგმა ჩავარდა და ნაკისრი ვალდებულებები სრულყოფილად არ შესრულდა.

შემდეგი სამოქმედო გეგმა OGP-ის რეკომენდაციით მხოლოდ 2016 წელს მოიცავდა. ამ პერიოდში, ქართულ ოცნებას ერთპიროვნული უმრავლესობა ჰქონდა საქართველოს პარლამენტში და არანაირი კოალიციები აღარ არსებობდა, სწორედ აქედან გამომდინარე, ექსპერტები და საბჭოს წევრები გვებნებიან, რომ „ქართულმა ოც-

ნებამ“ დაიწყო თავის მოწონების პოლიტიკა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, დაიწყო აქტიური კომუნიკაციები მათთან, სამუშაო გეგმის შემუშავების პროცედურაში აქტიურად იყვნენ ჩართულები, ასევე მიმდინარეობდა აქტიური საჯარო განხილვები სხვადასხვა რეგიონებში. წლის შეჯამებისას, შეგვიძლია თამამად ვთქვათ რომ, პარლამენტმა სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და დააკმაყოფილა ყველა ის მოთხოვნა და ვალდებულება რაც OGP-ის გააჩნია, სწორედ ამიტომაც საქართველომ დაიმსახურა პრიზი პარტნიორობისგან როგორც საუკეთესო სამოქალაქო ჩართულობის მოდელი და ქვეყანა იკავებდა ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას პარტნიორ ქვეყნებს შორის.

2020 წლამდე, სამუშაო გეგმები და პროცესები სამოქალაქო ჩართულობის მხრივ ჰარმონიულად მიმდინარეობდა, საქართველო დამსახურებლად იყო დასავლურ ქვეყნებთან შედარებით მოწინავე პოზიციებზე, როგორც ღიაობის ისე გამჭვირვალობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. სამოქალაქო სერვისის დაიხვეწა, გაუმჯობესდა და ყველასთვის მარტივად ხელმისაწვდომი გახდა, ეს ყველაფერი კი სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობის და მუშაობის შედეგად განხორციელდა, სანამ მმართველი გუნდის პოლიტიკური ნება არსებობდა, ქვეყანამ მიაღწია განვითარების მაღალ საფეხურებს და იკავებდა საპარლამენტო დემოკრატიის კუთხით მოწინავე ადგილს დასავლურ სახელმწიფოებთან შედარებით.

ეკსპერტებთან ინტერვიუებმა და დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, გამოკვლეული იქნა, რომ 2020 წლიდან მმართველმა ძალამ საერთაშორისო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები მტრებად გამოაცხადა, „ქართულმა ოცნებამ“ მის დადგენილ პოლიტიკურ კურსს გადაუხვია, რომელიც ღიაობაზე და გამჭვირვალობაზე გადიოდა, დაიწყო აქტიური დემონიზება და მარგინალიზება სამოქალაქო საზოგადოების წევრების, ფაქტიურად შეუძლებელი გახდა ღია საპარლამენტო საბჭოს საქმიანობაც, რადგან პარლამენტი აღარ ითვალისწინებდა მათ



მოტივირებულ შენიშვნებსა თუ რეკომენდაციებს თუ რა უნდა გაწერილიყო პარლამენტის შემდეგ სამუშაო გეგმაში. მთავარ მიზეზად სახელდება, რომ მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა მათთვის მტრებად გამოცხადებიდათ ის ადამიანები და ორგანიზაციები რომლებიც გააკრიტიკებდნენ და საქმიანობას დაუწუნებდნენ. გაქრა ე.წ. პოლიტიკური ნება, რომ პარლამენტს აქტიურად ეთანამშრომლა ორგანიზაციებთან და პოზიტიური შედეგები და ძვრები ყოფილიყო ღია მმართველობის მიმართულებით. ურთიერთობა ისე დაიძაბა, მმართველმა ძალამ დააინიცირა კანონი რომელიც მალევე უკან გაიხმო, მაგრამ 2024 წელს ისევ უკან დააბრუნა და საბოლოოდ მიიღო, კანონი არასამთავრობო ორგანიზაციებს ფინანსურ დეკლარაციას თხოვს და იქმნება სივრცე მათი დემონიზებისა და მარგინალიზებისთვის. აქედან გამომდინარე საბოლოოდ ჩატყდა ხიდები „ქართულ ოცნებასა“ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. მალევე საკონსულტაციო საბჭო დატოვეს ორგანიზაციებმა, ასევე დატოვეს OGP პლატფორმა და არსებობს რისკი რომ დემოკრატიული უკუსვლის გამო თვითონ პარტნირობამ დატოვოს საქართველო. სამოქალაქო ჩართულობის არარსებობა კარგად აისახა პარლამენტის 2024 წლის სამოქმედო გეგმაზე, რომელშიც არ მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოება, დოკუმენტში არ არის გაწერილი რაიმე ახალი ხედვა ან გეგმა, მხოლოდ მონიტორინგი უნდა მოხდეს წინა წლების მიერ შესრულებული ვალდებულებების, რაც თავის მხრივ გვაჩვენებს რომ სამოქალაქო ჩართულობა იყო ის ქვაკუთხედი რაც ხდიდა ღია საპარლამენტო საბჭოს ეფექტურს და პოზიტიურს, აქტიური ჩართულობით და მუშაობით, მათი ძალისხმევით გატარდა მრავალი რეფორმა და საქართველოს პარლამენტი იკავებდა წლების განმავლობაში მოწინავე ადგილს მსოფლიოს მასშტაბით.

კვლევის ფარგლებში, შედარებითი ანალიზი გაკეთდა ჩრდილოეთ მაკედონიასთან, რომელიც ღია საპარლამენტო მმართველობას 2018 წელს შეუერთდა, ჩვენთვის საინტერესოა ჩრდილოეთ მაკედონიის გამოცდილება რადგან, მათ ჩვენზე 3 წლით გვიან დაი-

წყევს ამ პროცესებზე მუშაობა და დღეს უკვე თითქმის თანაბარ პოზიციებზე ვართ, საინტერესოა მათი გზა და გამოცდილების გაზიარება. 2018 წლიდან დღემდე, ქვეყანამ შეიმუშავა სამი სამუშაო გეგმა, საინტერესოა ის ფაქტი რომ, ყოველი დოკუმენტი იწყება იმ სულისკვეთებით, რომ ქვეყანა პირველ რიგში მზად არის დაიწყოს აქტიური დიალოგი და შემდეგ ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების გეგმის შემუშავების პროცესში, რადგან სწორედ ეს არის დემოკრატიული ღირებულება და OGP-ის მთავარი მოთხოვნა და პირობა. ამ სულისკვეთების ფონზე, ყოველ სამოქმედო გეგმაში, სამოქალაქო საზოგადოების წვლილი მუშაობის პროცესზე 70%-ს აღემატება. რაც ცხადად მიუთითებს რომ მმართველი პარტია სრულ ჰარმონიზაციაშია სამოქალაქო სექტორთან, ითვალისწინებს მათ რჩევებს, რეკომენდაციებს და შენიშვნებს, ასახავს სამოქმედო გეგმაში და შემდეგ ადასრულებს მათ. სამივე სამოქმედო გეგმაში მაკედონიას თითქმის 100%-ანი შესრულების ნიშნული აქვს და ღია საპარლამენტო განვითარების დონითაც მოწინავე პოზიციაზეა OGP-ის ქვეყნებს შორის.

### გამოყენებული ლიტერატურა

Barber, B. (2004). *Strong democracy: Participatory politics for a new age*. Berkeley, CA: University of California Press.

Civil (2024a). *ქართული ოცნება „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტს ხელახლა აინიცირებს*. Retrieved from <https://civil.ge/ka/archives/589758>

Civil (2024b). *„უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის ხელახლა ინიცირებას საერთაშორისო გამოხმაურებები მოყვა*. Retrieved from <https://civil.ge/ka/archives/589841>

Civil (2024c). *ღია მმართველობის პარტნიორობა მთავრობას პრობლემების გადასაჭრელად 30 დღიან ვადას აძლევს*. Retrieved from <https://civil.ge/ka/archives/604583>

Dahl, R. A. (1963). *Modern political analysis*. New York, NY: Prentice-Hall.

Erdayani, R., Afandi, M., & Afandi, S. A. (2023). *Bibliometric analysis of open government: A study on the Open Government Partnership*. Indo-

Fintech Intellectuals: Journal of Economics and Business, 276-294.  
<http://doi.org/10.54373/ifjeb.v3i2.180>.

Habermas, J. (1984). *The theory of communicative action*. Boston, MA: Beacon Press.

IDFI. (2023) *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განცხადება ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრობის შეჩერების შესახებ*  
Retrieved from [https://idfi.ge/ge/statement\\_of\\_civil\\_society\\_organizations\\_on\\_suspending\\_membership\\_in\\_the\\_consultative\\_group\\_of\\_the\\_parliament\\_of\\_georgia](https://idfi.ge/ge/statement_of_civil_society_organizations_on_suspending_membership_in_the_consultative_group_of_the_parliament_of_georgia)

InterPressNews (2015). *საქართველოს ინტერფრაქციული ჯგუფი ღია მმართველობის პარტნიორობის ჯილდოს მოსაპოვებლად იბრძვის*. Retrieved from <https://www.interpressnews.ge/ka/article/350474-sakartvelos-interprakciuli-jgupi-gia-mmartvelobis-partniorobis-jildos-mosapoveblad-ibrzvis/>

Luhmann, N. (1982). *Interaction, organization, and society. In The differentiation of society* (pp. 69-89). New York, NY: Columbia University Press.

Parks, W. (1957). *The open government principle: Applying the right to know under the Constitution*. The George Washington Law Review, 26(1), 1-22.

Pateman, C. (1970). *Participation and democratic theory* (pp. 22-44). Israel: Cambridge University Press.  
<https://doi.org/10.1017/CBO9780511720444.002>

Piotrowski, S. J., Berliner, D., & Ingrams, A. (2022). *The power of partnership in open government*. The MIT Press.

Ruijter, E., Détienne, F., Michael, B., Jonathan, G., & Albert, M. (2020). *The politics of open government data: Understanding organizational responses to pressure for more transparency*. American Review of Public Administration, 50(3), 260-274.

Transparency International Georgia (2016). *ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პირველი ანგარიში*. Retrieved from <https://transparency.ge/ge/post/report/ghia-parlamentis-2015-2016-clebis-samoqmedo-gegmis-monitoringis-pirveli-angarishi>

Transparency International Georgia (2017). *ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი*. Retrieved from <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/OGP/ogp->

angarishebi/2015-2016-2-ogp-wlebis-samoqmedo-gegmis-MONITORINGI-me-2-angarishi.pdf

Transparency International Georgia (2022). *ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის შეფასება*. Retrieved from <https://shorturl.at/MB5rH>

Transparency International Georgia (2023). *Performance Assessment of the Parliament 2022*. Retrieved from <https://transparency.ge/en/post/performance-assessment-parliament-2022>

USAID (2018). *Parliament of Georgia Self-Assessment Report*. Retrieved from [https://pdf.usaid.gov/pdf\\_docs/PA00Z7SD.pdf](https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00Z7SD.pdf)

საქართველოს პარლამენტი (2018). *საპარლამენტო ღიაობა საქართველოში მთავარი მიღწევები 2015-2018*. Retrieved from <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/OGP/publikaciebi/2015-2018-OGP-achievements-saparlamento-giaoba-saqartveloshi-mtavari-migcevebi.pdf>

საქართველოს პარლამენტი (2018). *საქართველოს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის წლიური ანგარიში*. Retrieved from <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/OGP/ogp-angarishebi/2018-ogp-CLIURI-sabchos-saqmianobis-angarishi.pdf>

Ministry of Information Society and Administration (2016). *Macedonia National Action Plan 2016-2018*. Retrieved from <https://www.opengovpartnership.org/documents/macedonia-national-action-plan-2016-2018/>

Ministry of Information Society and Administration (2021). *Open government partnership national action plan 2021-2023*. Retrieved from <https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2021/11/North-Macedonia-Action-Plan-2021-2023-EN.pdf>

OGP (2021). *Memorandum on parliamentary engagement*. Retrieved from <https://www.opengovpartnership.org/documents/memorandum-on-parliamentary-engagement/>

OGP (2024). *Government of Georgia urged to follow open government recommendations*. Retrieved from <https://www.opengovpartnership.org/documents/government-of-georgia-urged-to-follow-open-government-recommendations/>

**Tengiz Bakuridze**

**Open Government Partnership in Georgia – Evaluation of a  
Legislative Body**

**Abstract**

In the present study, we explored the activities of the Open Government Council from its creation to the present day, covering the period from 2015 to 2024. Throughout this period, the Council developed five action plans encompassing numerous ambitious plans and commitments. Until 2020, work plans and processes in terms of civic engagement progressed smoothly, and Georgia deservedly held advanced positions compared to Western countries, both in terms of openness, transparency and the development of modern technologies.

Based on interviews with experts and document analysis, it was found that since 2020, the ruling authorities have labelled international organizations, civil society, and non-governmental organizations as enemies. The Georgian Dream shifted away from its established political course, which was based on openness and transparency, and began to demonize and marginalize members of civil society actively. The activities of the Open Parliamentary Council also became nearly impossible, as the Parliament no longer took into account their well-founded comments or recommendations regarding what should be included in the Parliament's upcoming work plan.

The relationship between the Georgian Dream and civil society organizations was severed. Soon after, the organizations left the Advisory Council, as well as the OGP platform, and there is a risk that the partnership itself will leave Georgia due to democratic backsliding. The lack of civic engagement was reflected in the Parliament's 2024 Action Plan, in which civil society did not participate.

As part of the study, a comparative analysis was conducted with North Macedonia, which joined open parliamentary governance in 2018. North Macedonia's experience is particularly interesting because they began working on these processes three years after Georgia, and today both countries find themselves in nearly identical positions.

**Keywords:** Parliament of Georgia, open governance, parliamentarism.